საქართ. მუშათა და გლეხთა სოც.-ფედერალისტურ სარევოლუციო პარტიის | მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ცფილ. ფასი 50ს მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

სამშაბათი, ოქტომბრის 31 1922


## ● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

სამშაბათს 31 ოქტომბერს

ა. ცაგარლის

### ხ ა ნ უ მ ა

დასაწყისი სრულ 8 საათზე

2—2

## სახელმწიფო აკადემიური თეატრი

### ოპერა

სამშაბათს 31 ოქტომბერს

### დემონი

ოთხშაბათს 1 ნოემბერს

### ევგენი ანეგინი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

1—1


## საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი

III

წინა წერილებში ჩვენ შეძლებისდაგვარად დავასაბუთეთ, 1) რომ აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოთა პირველსავე საერთო ყრილობაზედ მიღებულ იქნას სრული საკავშირო კონსტიტუცია კომპეტენციის დეტალური განსაზღვრით; 2) რომ კავშირის ც. ა. კ—ში ყველა მოკავშირე რესპუბლიკები წარმოდგენილი უნდა იყოს თანასწორად და 3) რომ საბჭოთა საერთო ყრილობის დანიშნულება პროექტში არაა გარკვეული და საჭიროა ამის შევსება.

საბჭოთა სისტემას რადგაც არ უხერხდება მთავრობის ორპალატიანი მუდმივი ორგანო. საბჭოთა ყრილობა იკრიბება ერთხელ, გამოაქვს დადგენილებანი, ღებულობს კონსტიტუციას, ირჩევს აღმასკომს და იშლება. შემდეგ იწვევა სრულიად ახალი საბჭოთა ყრილობა. ამ რიგად საბჭოთა ყრილობა ასრულებს დამფუძნებელი კრების ფუნქციებს და არის მუდმივი ორგანო. ასეთი დამფუძნებელი საბჭოთა ყრილობა აუცილებელია რესპუბლიკათა კავშირის კონსტიტუციის მისაღებად და გადასაწყვეტად. ალბად ეს დანიშნულება აქვს საბჭოთა საერთო საკავშირო ყრილობას განხილული პროექტითაც, თუმცა ამის შესახებ არაფერია თქმული შიგ, არც ის ვიცით როგორი წესით უნდა შედგეს საბჭოთა საკავშირო ყრილობა: ამისათვის ცალკე არჩევნები ხდება რესპუბლიკებში, თუ ცალკე რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობები ჰგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ პროექტი ჰგულისხმობს მეორე წესს, ვინაიდან მხედველობაში გვაქვს რესპუბლიკათა კავშირი და არა უნიტარული სახელმწიფო, რომლის პრინციპთა მიხედვით თვით მოსახლეობამ უნდა აირჩიოს მთავრობა და ეს ასეც ხდება საბჭოთა რესპუბლიკებში.

მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ასე ვერ მოხდება. აქ კავშირს ჰკრავს რესპუბლიკები, როგორც თავის სახის და მთავრობის მატარებელი საერთაშორისო ერთეულები და საკავშირო მთავრობაშიაც წარმოდგენილნი უნდა იყვნენ თავიანთ მთავრობათა საშუალებით. ასე რომ, ჩვენის აზრით, საბჭოთა საკავშირო საერთო ყრილობა უნდა შესდგეს ცალკე რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობების წარმომადგენლებისაგან მცხოვრებთა პროპორციის მიხედვით, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ამ საერთო ყრილობაზედ თითო სახელმწიფოს თითო ხმა ჰქონდეს, მიუხედავად დელეგატთა რაოდენობისა. ამას მოითხოვს პრინციპი კავშირისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ერთ სახელმწიფოს და არა სახელმწიფოთა კავშირს. და თუ ეს ორი პრინციპი ჩვენ ერთმანეთში აურიეთ, რასაკვირველია მიზანს ვერ მივაღწევთ. ვერ შევქმნით მტკიცე ორგანიზაციას და ვერც ეროვნულ ინტერესებს დავაკმაყოფილებთ.

საბჭოთა რესპუბლიკებმა უნდა მოახერხონ და შექმნან ისეთი საკავშირო ცენტრი, რომლისკენაც ყოველი წევრი მიილტვოდეს და კი არ გარბოდეს; რომელშიაც ყველა ჰგრძნობდეს ძმურ კავშირს, დამყარებულს თანასწორობის პრინციპზედ და არა ძლიერისადმი ან რაიმე დიდისადმი იძულებით მორჩილებაზედ, რაზედაც აგებული იყო მონარქიული რუსეთი.

ოქტომბრის რევოლუციამ გადაჰკრით და უყოყმანოდ აღიარა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი სრულ დამოუკიდებლობამდე. ჩვენთვის ეს რევოლუციის ერთი უდიდესი მონაპოვართაგანი არის და მისი დაცვა-შენახვა ჩვენება საგალდებულოდ მიგვაჩნია ყველა რევოლუციონერისათვის.

ამ რიგად ჩვენ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ კავშირის უმაღლეს ორგანოში წარმოდგენილი იყოს რესპუბლიკები თანაბარი ხმებით. ამას მოითხოვს პრინციპი კავშირისა, ამას მოითხოვს ინტერესები ყველა რესპუბლიკებისა და მხოლოდ ეს იქნება საიმედო გარანტია კავშირის სიმტკიცისა და სიძლიერისა.

ომეგა.

ვალდებულია თავის დროზე მიაწოდოს მატარებლები ნავთის გასატანად. ეს ხელშეკრულება დადებულია ათი წლით. პოლიტიკურად და ეკონომიურად ის მიმართულია გერმანიის წინააღმდეგ.

**იტალია და ახლო აღმოსავლეთი.** იტალია აცხადებს, რომ ის სავალდებულოდ არა სთვლის შეთანხმებას, დადებულს ბრიტანიისა და ვენიზელოსს შორის. უკვე 1920 წელს ჯიოლიტტიმ ამის მსგავსი განაცხადა და ამის შემდეგ იტალია არა ერთხელ იმეორებდა ამ თვალსაზრისს. ახლა უკვე ის განსაკუთრებით ხაზგასმულია მომავალი,—ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის გამო. ამით იტალიას სურს აღნიშნოს, რომ სევრის ხელშეკრულება პრაქტიკულად უკვე აღარ არსებობს და მეორე, ამით უნდა გაფრთხილება გამოსთქვას, რათა მომავალმა კონფერენციამ არ გადასცეს ბერძნებს დოდეკანეზოსი.

## ზოგი რამ

**ა. ქართველი მინიატურისტი.**

ძლიერ კარგად მოქცეულან სიტყვის მეფენი, რომ ლექსად წერა შემოუღიათ. გრძელი სიტყვა, რაც უნდა კარგად იყვეს მორთულ-მოკაზმული, მაინც მალე გაჰბეზრდება მოსაწყენი. ლექსი კი, არა თუ ამოკლებს გრძელ სიტყვას, არამედ, თუ მისი ავტორი ხელოვანია, ღმერთი განსაგონადაც ჰქმნის თავისი განწყობილებით, თავისი შინაგან-გარეგანი რითმით. ამ გვარად ლექსი შაირად იქცევა.

შემოქმედების ალდომ ევროპიელ სადამსიტყველებს ჩააგონა აგრეთვე გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა, მაგრამ არა ლექსად, შაირად, არამედ სიდა სიტყვადვე. ამ მიზნით შემოიღეს ერთგვარი მოკლე სიტყვა, რომელსაც უწოდეს მინიატიური, რაიც პაწაწას ჰნიშნავს. მაგრამ დიდი რომანიდან მინიატიურამდე შუა ეტაპიც იყო, აღბეჭდილი გიუ დე მოპასანის მაღალი ნიჭით. ეს საკვირველი რომანისტი ახერხებდა ეთქვა სულ მოკლე ამბავი ის, რაიც რომანის სული და გულია და რასაც სხვა ავტორები დიდ ტანიან რომანებში ათავსებდნენ.

დიახ, თუ გიუ დე მოპასანური წერა მოითხოვს დიდ ნიჭს, მინიატიურის საწერად საჭიროა კიდევ უფრო დიდი ნიჭი, რადგანაც ჩარჩო ერთობ პატარა აქვს, შინაარსი კი ერთობ დიდია თავისი დედა-აზრითა.

დიდი ნასწავლობა და დიდი ნიჭი გონება-გულის ნადების გამოთქმისა თან ახლავს ევროპიელ მინიატიურისტს. ამის გამო მინიატიური ევროპაში ისე გათქმულია ჰლამის ჩაჰკლას დიდი რომანის წერა. ჩვენში როგორიდა მიდის მწერლობის საქმე ამ მხრით? მოგეხსენებათ, ჩვენი მიმბაძველობა პირდაპირ კლასიკურია. ევროპაში რაიმე გვარი მწერლობა გაჩნდება თუ არა, ქართველი მწერალი მაშინვე ისწრაფვის გადმოიღოს. სულ არ დასდევს, თუ აქაც ისევე, როგორც შაირობის დროს, საჭიროა ავტორისთვის ცნა, გული და ხელოვნება. დღევანდელ ქართულ მინიატიურს ათასში ერთს თუ სცხია რამ ხსენებული მოთხოვნილებისა, ისიც ნაწილობრივ. მაგრამ ქართველი მინიატიურისტი უცილობლობს მაინც, როგორც შოთა რუსთველის ჯორი. უთუოდ ვერ გაუგია, რომ ევროპაში მინიატიურებს სწერენ კალმის და სიტყვის, გრძნობა-გონების გოლიათები. ის კი ჯერ... ქონდრის კაცია.

**ბ. წიგნიც აგრეთვე.**

ძველ საქართ. მწიგნობართ-უხუცესი იყო ის კაცი, რომელსაც ეკითხებოდა სწავლა-განათლების საქმე. ყოვლად შესაძლებელია მის ხელთ იყო აგრეთვე ხელნაწერთა და თარგმანთა დამზადების საქმეც. ყოველ შემთხვევაში უეჭველია ის ფაქტი, რომ დიდებულ ლავრებში, რომელიც მთლიანად, თუ ნაწერევად დაშთენილი ამკობს საქართველოს მთა და ბარს, იღწოდა ისეთი ძმობაც, რომელიც სთარგმნიდა უცხო ავტორებს, ან სთხზავდა, ხოლო საჭირო ხარჯს ისტუმრებდა შემოსავალი ლავრების ადგილ-მამულებისა, რომელიც მეფეთა და დიდებულთ შემოწირული იყო. ეს უნდა იყვეს მიზეზი, რომ დღეს მოგვეპოება კიდევ მიუხედველად მრავალი ბედუკუღმართობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს დაატეხია, ბევრი ნაწერი იმდენი ორიგინალი ც იმდენი თარგმნილი. კერძო კაცის თაოსნობა ვერ გამწვევდა. ერთი უცხო—ტომელი მეგობარი მარწმუნებდა,—ქართველს უყვარდა მყუდროდ მუშაობა მონასტრის ზღუდეთა შორის ქართული კულტურის განსავითარებლად, მაგრამ ისიც მართალია, რომ წიგნის კაცი ძველ საქართველოში კუბე მაღლა იყო და წიგნის საქმეს განაგებდა არა კერძო თაოსნობა.

კატასტროფამ, რაც მოჰყვა ქართულ კულტურისათვის მუდამ თათრების შემოსევებს (XIV ს.) და ასიც წლის მონობამ რუსთ ხელმწიფობის უღელქვეშ, ქართველობა იმდენათ დასცა კულტურულად, რომ ქართული კულტურის აღდგენისა და განვითარების საქმე ეგრე გამოკვეთდება, თუ სახელმწიფო თავს არ იდებს საქმის გაძღოლა. ეხლანდელ სახელმწიფოთა შორის ახსენებენ ჩინეთს, სადაც უცხო ქვეყნელ ავტორთა თარგმნის საქმე მოქცეულია თურმე ცალკე უწყებაში.

არა დიდი საქმეა გასაკეთებელი. ერთი გამოცემა ძველი და ახალი თარგმნილი ორიგინალი ნაწერის, ხოლო მეორე თარგმანი უცხო ქვეყნელი ავტორებისა, რისთვისაც შეძლებულ უნდა იქმნეს მთარგმნელთ ინსტიტუტი. უმუშევართათვის სახელმწიფო სამუშევარს აჩენს, ზოგჯერ ისეთ გრანდიოზ საქმეს, რომელიც საშველიშვილოდ სახსენებელი შეიქმნება, ხოლო ამ შემთხვევაში სამუშევარი გაუჩნდება ქართველ კალმოსანს, რომელიც ცხოვრების ძიერ იძულებული გამხდარა მისთვის შეუფერებელ საქმეზედ იდგეს.

სახელმწიფო მოვალეა არა თუ პური და სპექტაკლი, არამედ წიგნიც მისცეს ხალხსა. წიგნი ძველი რომაელების თვალში უფრო იშვიათი იყო, ვიდრე მახვილი ამის გამო უთქვამთ, არა მხოლოდ მახვილითაო. საუკეთესო დროის ქართველობაც ისე უცქეროდა მცოდნეთა სწავლას და ხელოვნებას, როგორც უცოდინარობის მომსპობ იარაღსა. შოთა რუსთველი ამბობს, უცებნი მოჰსრნის მცოდნეთა სწავლამან, ხელოვნებამანო.

პეტრე მირიანაშვილი.

ეროვნულ ყრილობამ აირჩია გენ. ისმეთფაშა გარეშე საქმეთა კომისრად. იქ იქნება ანგორის დელეგაციის მეთაური ლოზანაში. ოსმალეთის დასავლეთ არმიის მთავარ სარდლად ისმეთ-ფაშის მაგიერ დაინიშნა ქიაზიმ ყარა-ბექირი.

**გაფიცვების მოძრაობის სტატისტიკა**

ჰანოვერი 29 ოქტ. შვეიცარიის პრესის სტატისტიკურ ცნობებით გაფიცულთა რაოდენობის მხრივ 1922 წ. პირველი ადგილი ამერიკას უჭირავს (გაფიცულთა რაოდენობა 2 მილ. კაცი.) მეორე ადგილი უჭირავს გერმანიას (1,400 ათასი გაფიცული.) შემდეგ მიდის ინგლისი (796,000 გაფიცული).

## უცხოეთი

**მუსოლინის განცხადება.**

ნაპოლი. ოქტ. 29. მთელი იტალია ძალიან დიდ რყევას განიცდის ფაქტას კაბინეტის საბოლოოდ გადადგომის გამო. მუსოლინი 5 შეთანხმების ცდის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ კაბინეტში ფაშისტების შეყვანის შესახებ, მეფე დაბრუნდა რომში მუსოლინი. უკანასკნელ თავის სიტყვაში მოითხოვდა ახალ არჩევნებს ახალ საარჩევნო საფუძვლებზე და მან სხვათა შორის განაცხადა, რომ ის ინდიფერენტულად უცქერის საკითხს მისი კაბინეტი მონაწილეობის შესახებ, მაგრამ თუ ფაშისტები შევიდოდენ კაბინეტში, ისინი მოითხოვდენ 5 პორტფელს შინაგან საქმეთა, გარეშე საქმეთა, სამხედრო საზღვაო და სახელმწიფო ხაზინის სამინისტროებს. ფაშისტების პროგრამა მოითხოვს მუშათა ძალების უკიდურეს დაპამვას და საშუალო კლასების უკიდურეს მსხვერპლს. ფინანსიური სიძნელეთა გადასალახავად, ამავე დროს ყველა სახელმწიფოებთან უნდა იქნეს დაცული მეგობრული განწყობილება.

**ფაშისტები ამზადებენ გადატრიალებას.**

რომი. ოქტ. 29. რეფერმების მოლოდინში ფაშისტები ამზადებენ მთელ იტალიაში სახელმწიფო გადატრიალებას. ზოგიერთ რაიონებში იმათ ელობებათ სერიოზული დაბრკოლებანი, სხვა რაიონებში ხელისუფლება თანაუგრძნობს მათ და უწევს ყოველგვარ დახმარებას. ფლორენცია, პიზა და კრემონა და სხვა ქალაქები ფაშისტების ხელშია, ხოლო ზოგიერთი ქალაქები დაკავებული აქვთ სისხლის დვრის შემდეგ.

**საალყო წესები.**

რომი. ოქტ. 29. შუადღისას მთავრობამ მთელი ძალა-უფლება გადასცა სამხედრო პირებს. საალყო წესების გამოცხადება მთელ იტალიაში მოსალოდნელია. ყოველ წუთში ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიის შორის კავშირი შეწყვეტილია.

ბერლინი. 29 ოქტ. რომის გაზეთები იტყობინებიან, რომ მეფემ უარი განაცხადა საალყო წესების ბრძანების ხელის მოწერაზე. საღამოზე მან იქონია თათბირი ნაციონალისტების ლიდერებთან—ორლანდოსა და დევანისსთან. რომში მრავალ რიცხოვან კრებაზე ფაშისტები და ნაციონალისტები სადღამს უძღვნიან მეფეს.

**რომისკენ.**

ბერლინ. 29 ოქ. მილანში ფაშისტებმა გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიაც აცხადებენ, რომ ისინი მიდიან რომზე. მთელი ძალა უფლება გადაეცა ფაშისტების კომიტეტს, რომელსაც მიენიჭა დიქტატორული უფლებები. ფაშისტებმა დახურეს გაზეთი „კორიერე დელა სერა“. რომი სასტიკად არის დაცული. ქალაქის მაგ მთები დაკავებულია მთავრობის შეიარაღებული ძალებით. შეიარაღებულ ფაშისტების რაზმებს, რომლებიც მიდიან პიზით, ტივოლით, ფლორენციით, ნეაპოლი და ლივორნოდან აკავებენ და არ ატარებენ იარაღს. რომში დადის გაძლიერებული ცხენოსანი პატრული. გაზეთები არალეგალურად და შემცირებული ფორმატით გამოდიან.

**ჯიოლიტი.**

ბერლინ. 29 ოქ. რომიდან იტყობინებიან, რომ მეფემ მიანდო კაბინეტის შედგენა ჯიოლიტტის. უკანასკნელის თანხმობა არ არის უზრუნველყოფილი. ფაშისტების არმია ემუქრება რომს და პარლამენტს. ჯიოლიტი დაჟინებით

## ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი და პოლონეთი. დამტკიცებული არის შარშან, შეკრული ხელშეკრულება საფრანგეთსა და პოლონეთს შორის პილსუდსკის პარიზში ყოფნის დროს. ხელშეკრულება შეიცავს საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულებას, პოლიტიკურ ნაწილს და ეკონომიურ შეთანხმებას. პოლონეთში ბამბის შეტანაში საფრანგეთი მონაწილეობას იღებს 17 პროცენტით, საფრანგეთის კაპიტალი მონაწილეობს პოლონეთის საქსოვ მრეწველობაში 75 პროცენტის რაოდენობით. პოლონეთის სანავთ მრეწველობაში საფრანგეთმა მოათავსა 20 მილიარდი პოლონური მარკა. ხსენებულ ხელშეკრულებაში საფრანგეთმა თითქმის სავსებით უზრუნველყო თავისათვის პოლონური ნავთი. საფრანგეთის კაპიტალები სანავთო მრეწველობაში გასთავისუფლდებიან ხარკებისა და იძულებით სესხისაგან. ამათ გარდა პოლონეთის მთავრობა

## ახლო აღმოსავლეთი

**მოწვევა კონფერენციაზე**

ჰანოვერი 29 ოქტ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ უკვე მოიწვიეს იაპონია, რუმინია, სამხრეთ-სლავია, საბერძნეთი, ანგორა და სტამბოლი, რუსეთმა და ბულგარეთმა მიიღეს მოპატიჟება დაესწრონ კონფერენციის სრუტეების მომავალის გადაწყვეტის დროს. კონფერენციაზე აგრეთვე მოწვეულია ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები.

**ბონარ ლოუს განზრახვანი**

ჰანოვერი 29 ოქტ. „დეილ მეილი“ იუწყება, რომ ბონარ ლოუს განზრახვა აქვს მოახდინოს მესოპოტამიის, სირიის და პალესტინის ოკუპაცია.

**ხმელიდან გასვლის აკრძალვა**

ნაუენი 29 ოქტ. ანგორის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით განსაკუთრებულ ნებართვის გარეშე აკრძალულია სმირნიდან გასვლა.

**ვენიზელოსი**

ნაუენი 29 ოქტ. ფიქრობენ, რომ საბერძნეთის წარმომადგენლად ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე იქნებიან ვენიზელოსი და კაკლა მანოსი.

**დანიშვნანი**

ბერლინ 29 ოქტ. ოსმალეთის დიდი

მოითხოვს, რათა ფაშისტები ლეგალურად იქნან აღიარებულნი.

**საარჩევნო წინასწარი კამპანია.**

ნაუენი. 29 ოქტ. ინგლისში მიღებულია ზომები არჩევნებს დროს კონსერვატორ ბონარ ლოუს და ნაციონალ-ლიბერალ ლოიდ-ჯორჯის მომხრეთა შორის შეტაკებების ასაცილებლად. კონსერვატორებმა გადასწყვიტეს არ ებრძოლონ ლოიდ ჯორჯს და ჩერჩილს, აგრეთვე არ ჩაუდგნენ ოპოზიციაში დამოუკიდებლებს, რომელთაც მეთაურობს ასკვიტი. ყველა პარტიები იჩენენ ენერგიას და ფიქრობენ, რომ არჩევნები ზედ-მიწევნით კარგათ ჩატარდება.

**მაკ კენის დანიშვნა.**

მანჩესტერი. 29 ოქტ. ლაპარაკობენ მაკ კენის ამერიკის ვალების კომისიაში ინგლისის წარმომადგენლად დანიშვნის შესაძლებლობაზე.

**ვლადივოსტოკში.**

მოსკოვი, 29 ოქტ. ჩიტადან იტყობინებიან ვლადივოსტოკის აღების შესახებ შემდეგს: ვლადივოსტოკში შესულ სახალხო რევოლიუციონურ ჯარებს დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ მცხოვრებნი. ქუჩებში მრავალი ხალხი სტიროდა, უხაროდა რა თეთრი და იაპონიის ჯარების ოკუპაციისაგან განთავისუფლება და სახალხო ხელისუფლების აღდგენა. რევოლიუციონური არმიის შესახვედრად გამოვიდა სასულიერო წოდებაც. მცხოვრებთა სულიერი განწყობილება წარჩინებულია. ვლადივოსტოკის მუშები ვლადივოსტოკის სახალხო რევოლიუციონური არმიის მიერ დაკავების დღეს სთვლიან უდიდეს დღესასწაულად. მცხოვრებნი ყვავილებით ეგებებოდნენ ჯარებს. აღდგენილია სრული წესრიგი. იაპონელები გემებით გავიდნენ ზღვაში.

— იაპონიის საოკუპაციო ჯარების მთავარ სარდალმა გენერალ კაჩიბონამ ვლადივოსტოკის დატოვების დროს შემდეგი წერილი გაუგზავნა სახალხო რევოლიუციონური ჯარების უფროსს უბორევიჩს: „სამწუხაროდ ჩვენ მოგვიხდა ერთმანეთის შეხვედრა იარაღით ხელში რასაც მე ძალიან ვწუხვარ. მაგრამ საბედნიეროდ თქვენი სამართლიანი და დროული განკარგულების წყალობით, ჩვენ მოვახერხეთ შეტაკების თავიდან აცილება და მშვიდობიანი გასვლა, რასაც მე დიდ ბედნიერებად ვსთვლი ორივე სახელმწიფოებისა და არმიისათვის. ვიმედოვნებ, რომ ეს იქნება საწინდარი ორივე ქვეყნის მომავალი მეგობრული ურთიერთობისათვის.

— შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლიუციონური არმიის მთავარ სარდლის ბრძანებით პრიმორის ოლქი, ნიკოლაევსკ-უსურიისკის, სპასკის და ოლგინსკის მაზრებითურთ გამოცხადებულია პრიმორის გუბერნიად. თეთრების ნაშთების ლიკვიდაციის მოსახდენად, ვლადივოსტოკში გამოცხადებულია სამხედრო წესები. დანიშნულია პრიმორის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი სმირნოვის თავმჯდომარეობით, კომიტეტის წევრებად არიან: ჰუბენიცინი, ბორისი და ბოიკ[illegible]რიოვი.

— მთავარ სარდალი უბორევიჩი ინახულა ჩინეთის სამხედრო დელეგაციამ რომელმაც გადასცა ჩჟან-ძო-ლინის სახელით მილოცვა და მადლობა გამოუცხადა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკას ჩინელებისადმი კეთილი მოპყრობისათვის.

უბორევიჩმა განუცხადა დელეგაციას, რომ რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ყველა უცხოელებისადმი ერთნაირია.

— უბორევიჩმა მიიღო ვლადივოსტოკის იაპონელ რეზიდენციების დელეგაცია, რომელმაც განუცხადა მთავარ სარდალს, რომ იგი ითანამშრომლებს რუსის ხალხთან და გადაუხადა მადლობა იაპონელ რეზიდენტებისადმი კეთილი მოპყრობისათვის.

— იაპონიის კორესპონდენტებმა რომელთაც ინახულეს უბორევიჩი არწმუნებს იგი რომ მთელი იაპონიის ხალხი დაინტერესებულია საბჭოთა რუსეთთან და მოუთმენლად მოელის მასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას.

— ინგლისის პრესა უქებს ვლადივოსტოკის დაპყრობას, როგორც ბოლშევიკების უდიდეს გამარჯვებას ამიერიდან, სწერენ გაზეთები, ბოლშევიკებს აქვთ გასავალი წყნარ ოკეანეში იაპონია განიდევნა რუსეთის ტერიტორიიდან.

— გაზ. „ნიუიორკ ტაიმსი" სწერს ვლადივოსტოკში მომხდარ ძარცვაში პასუხისმგებელია იაპონიის რწმუნებული დიტერიხის წყნარ ოკეანეს სანაპიროებში ხელისუფლების აღდგენა აყენებს საკითხს ამ მთავრობის ამერიკის მიერ ცნობის შესახებ.

— რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან მოდის მილოცვები ვლადივოსტოკის აღების გამო. შორეულ აღმოსავლეთ რესპუბლიკის ყველა ქალაქებში იმართება ამის გამო მიტინგები.

— იაპონიის პრესა გამოსთქვამს კმაყოფილებას რუსეთის ხელისუფლების მიერ იაპონელებისადმი კეთილგანწყობილების გამო.

**რუსეთის თეთრგვარდიელები ჩინეთის სამხრეთში.**

მოსკოვი. ოქტ. 29. სახალხო რევოლიუციონურ არმიის მიერ დამარცხებული სმილინსკის თეთრი გვარდიის კორპუსის ნაწილები მიღებული არიან ჩინეთის არმიაში და დაყენებული იქნებიან საზღვრებზე სად. პოგრანიჩნაიას სამხრეთით.

**სარეპარაციო კომისია**

მოსკოვი 29 ოქტ. სარეპარაციო კომისიამ ერთხმად დაადგინა გაემგზავროს ბერლინში, რათა გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს ზომები გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**გერმანიის ნახშირი**

მოსკოვი 29 ოქტ. სახაზო ხელშეკრულების თანახმად, გერმანიამ პირველი ექვსი თვის განმავლობაში ჩააბარა მოკავშირეებს 9 მილ. ტონა ნახშირი, მათ შორის მარტო საფრანგეთის 6 მილ. ტონა. ეხლა საფრანგეთი მოითხოვს თვიურად თავისი წილის 1,800,000 ტონამდე გადიდებას, გარდა 125,000 ტონისა, რომელსაც მან უკვე მიიღო და აძლევს პოლონეთს და ზემო სილეზიას.

**ფაშისტების მოთხოვნილება**

მოსკოვი 29 ოქტ. ნეაპოლში მომხდარ იტალიის ფაშისტების კონგრესზე გამოქვეყნებული პროგრამა მოითხოვს საარჩევნო უფლების რეფორმას, პარლამენტის გაშვებას, დაუყონებლივ ახალი არჩევნების დანიშვნას და ფაშისტებისათვის სამხედრო, საზღვაო, შრომის და საზოგადო საქმეთა მინისტრების პორტფელების გადაცემას.

**მუშათა პარტია ინგლისში**

მოსკოვი 29 ოქტ. ლონდონში შესდგა მუშათა პარტიის 12 თვალსაჩინო მოღვაწეების თათბირი. გამომუშავებულია პარტიის მოქმედების პოლიტიკური ხაზი პარლამენტის მომავალ არჩევნებზე. დაადგინეს არ შევიდნენ ბლოკში არც ერთ პარტიასთან.

**არჩევნები ინგლისის პარლამენტში**

მოსკოვი 29 ოქტ. პარტიულ ორგანიზაციების შეთანხმებით პარლამენტის არჩევნებისათვის დანიშნული დღე—ოთხშაბათი, 15 ნოემბერი—იქნება გამოცხადებული მუშაობიდან თავისუფლების დღეთ, რათა მუშებს მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება.

# რუსეთი

**სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მეოთხე სესია.**

მოსკოვი. 29 ოქტ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესიამ მოისმინა დებულება საბჭოების საგუბერნიო ყრილობებისა და საგუბერნიო აღმასკომების შესახებ. წარმოდგენილ დებულების თანახმად, საარჩევნო ნორმა მცირდება. საგუბერნიო ყრილობებზე დეპუტატები აირჩევიან შემდეგი ანგარიშით—ერთი დეპუტატი 20 000 სოფლის ამომრჩევლებიდან, ერთი დეპუტატი ქალაქების და ფაბრიკების 4.000 ამომრჩევლებიდან, საგუბერნიო ყრილობების რიცხვობრივი შემადგენლობის შემცირება [illegible] და [illegible] მისი მუშაობისა[illegible] 5 მილიონ მანეთს. [illegible] საარჩევნო კამპანიის ვადა პირველი 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე. მიღებულია აზრი, რომ საგუბერნიო აღმასკომები წარმოადგენენ არა მარტო მშრომელთა თვითმართველობის ორგანოებს, არამედ ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსაც, საგუბერნიო აღმასკომები სარგებლობენ [illegible] უფლებებით. საგუბერნიო აღმასკომების გაუქმებული [illegible] ამ უფლებებით არ სარგებლობენ.

**ფინანსიური საკითხი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი სოკოლნიკოვი თავის მოხსენებას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ წინა თვეებში ჩვენს ფულის ნიშნებს ემჩნეოდა ნაწილობრივი სტაბილიზაცია. მანეთის სტაბილიზაციამ უნდა მიგვიყვანოს საქონლის ნორმალურ გაცვლა-გამოცვლამდე ქალაქის და სოფლის შორის. ჩვენს ბიუჯეტში ემისიის შემცირება არის გზა სტაბილიზაციისაკენ. უკანასკნელი ამოცანა ნაწილობრივ შეასრულა ფინანსთა სახალხო კომისარიატმა. წარსული წლის ივლისში გამოშვებულია—460 მილიარდი, ოქტომბერში—2 ტრილიონი. ივლისიდან ოქტომბრამდე ემისია გაიზარდა ოთხჯერ. მიმდინარე წლის ივლისში გამოშვებულია 154 ტრილიონი. ოქტომბერში 260 ტრილიონი. ამ რიგად წელს ემისია ამავე პერიოდში ორჯერაც არ გადიდებულა. დაწყებული აგვისტოდან ემისია ქარბობს 200 ტრილიონის მაქსიმუმს და არ იზრდება. ემისიის შემცირება შესაძლებელი გახდა რესპუბლიკის შემოსავლის და გადასახადების გადიდების გზით. აგვისტოში გადასახადი შემოვიდა ოქტომბერი—11—12-ჯერ მეტი მიმდინარე წლის იანვართან შედარებით. საერთო სახელმწიფო შემოსავალი სექტემბერში შეადგენდა 157 ტრილიონს, აგვისტოში კი იყო 112. ოქტომბერში გათვალისწინებულია შემოსავალი 160—170 ტრილიონი. იანვარში ჩვენი ემისია იყო 10-ჯერ მეტი შემოსავალზე, თებერვალში შემოსავალი შეადგენდა 24 პროცენტს, ემისიისა მარტში—33, აპრილში—42, მაისში—73, ივნისში, აგვისტოში, სექტემბერში და ოქტომბერში—67. დაბოლოს ნოემბერი იქნება პირველი თვე, როცა გადასახადების და შემოსავლის ციფრები პირველად გაუთანასწორდება და შესაძლებელია გადააჭარბებენ ემისიის ციფრებს.

სახელმწიფო შემოსავლის გადიდებასთან ერთად, ფინანსთა სახალხო კომისარიატი ცდილობს ხარჯების შემცირებას. მნიშვნელოვანი ეკონომიით შესაძლებელი გახდა საბჭოთა აპარატის შემცირება. საერთო-სახელმწიფო დეფიციტის შემცირებას საგრძნობლად ხელი შეუწყო ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტის გაყოფამ. ადგილობრივი შემოსავალი უფრო სწრაფად მატულობს, ვინემ სახელმწიფოებრივი. ჩვენი ბიუჯეტი ახალი წლისათვის დაახლოვებით 4-ჯერ ნაკლები იქნება მეფის რუსეთთან შედარებით. მაშინ, როცა ფასები საშუალოდ გაიზარდა 2 ჯერ. რათა უზრუნველყოთ მუშები ფულის ნიშნების კურსის დაცემისაგან, ფინანსთა სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მოაწყოს [illegible] შემნახველი კასები მუშებისათვის. კასაში შეტანილი ფული დაბრუნებული იქნება საქონლის [illegible] ღირებულების მიხედვით. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წინადადება შეიტანა სახალხო კომისართა საბჭოში შემოღებული იქნეს ახალი პირდაპირი გადასახადები, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს საერთო სამოქალაქო გადასახადს სიმშილობასთან ბრძოლისა და სასოფლო მეურნეობის აღდგენისათვის. იწყება გადასახადების აკრეფა შემოსავლის კვალობაზე.

გადადის რა საკითხზე სესხის შესახებ, მომხსენებელი ამბობს, რომ სესხის პერსპექტივებზე დიდი იმედების დამყარება არ შეიძლება. უცხოეთის მხრივ სესხზე ლაპარაკი საჭირო არ არის. ფინანსთა სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მომავალში გამოუშვას მოგებიანი სესხი 100 მილ. მან. (ოქროთი) რაოდენობით. სესხის ტირაჟი დაიწყება მომავალი წლის 1 მაისიდან.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მორიგ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ექსპორტის მოწყობა, ურომლისოდაც ჩვენ ვერ შევძლებთ მტკიცე ვალიუტის დამყარებას. თუ ჩვენ შევსძლებთ ექსპორტის მოწესრიგებას, მაშინ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა იქნება გაცილებით უკეთესი წარსულ წელთან შედარებით. ჩვენ შევქმნით ფინანსიურ ბაზას საბჭოთა სახელმწიფოსათვის.

# ახალი ამბები

— **მტკვრის ადიდების გამო.** 27 და 28 ოქტომბრის ღამეებში მტკვარი უკვე დადგა კალაპოტში. 26 დილით ის მეტად იყო ადიდებული. რიყე სრულიად დაფარა წყლით. შიში იყო მუხრანის ხიდის [illegible], მაგრამ ნაშუადღევს 2 საათიდან მტკვარმა უკვე იკლო, მდინარემ ამ ხნის განმავლობაში მოიტანა ზევიდან ფიცრული კედლები, სახლის ბოძები, კარ ფანჯარა და ბევრი საოჯახო რამ, რომელიც ეტყობოდა ზემო სოფლებში უნდა ყოფილიყო მოტაცებული. რიყის ქუჩაზე რამოდენიმე მეპატრონეთ სრულიად გაუფუჭდა ეზოები, მარილი და სხვ.

— **მასწავლებელთა ჯამაგირების დაკმაყოფილება.** ტვირთ-ზიდვისა და შრომის ბეგრის გადასახადის ფონდიდან დროებით გადმოსესხებული იქნება საჭირო თანხა, რითაც დაკმაყოფილდებიან მასწავლებლები ოთხ სექტემბრიდან ჯამაგირით.

— **ხოლერა და პარტახტიანი ტიფი.** იმ ხნის განმავლობაში, რაც ხოლერის

# სადღეისო საკითხები

**წინასწარი შენიშვნები.** ამ ჟამად ჩვენში წამოყენებულია საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. სამწუხაროდ, პროპაგანდა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საკითხის შესახებ ვერ სწარმოებს ფართო მასშტაბით და ერთობ ვიწრო ფარგლებში არის მომწყვდეული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი უნდა გასცილდეს ვიწრო კედლებს და მთელი საქართველოს მშრომელი ხალხის მსჯელობის საგნად უნდა გადაიქცეს. მასთანვე სათანადო ხელისუფლების ორგანიზაციებმა და მათ შორის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გამოიტანოს თავისი საბოლოო დასკვნა საკითხის ყოველმხრივ აწონ დაწონის შემდეგ. საბჭოთა სისტემის კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც ჩვენმა ყრილობამ მიიღო ამა წლის თებერვლის რიცხვებში, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი არის საბჭოების ყრილობა და მის მიერ არჩეული ცენტრალური აღმასკომი. ამ ორგანიზაციების გარეშე და მათ დაუკითხავად არ უნდა გადაწყდეს ჩვენში არც ერთი სერიოზული და ღირსშესანიშნავი საკითხი.

გარდა ამისა აღნიშნულ საკითხის ნათელსაყოფად და გასარკვევად საჭიროა წინასწარ გამორკვეული იქნეს მთელი რიგი სერიოზული კითხვებისა, რომელნიც უმეტესად დაკავშირებულნი არიან ამ კითხვასთან. ეს არის ერთის მხრით კითხვა, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა პრაქტიკულ პოლიტიკისა და ინტერესების საზომით. მეორეს მხრით—როგორი ფორმა კავშირისა უფრო მისაღები და შეფარდებული არის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ეს კითხვებია მთავარი კითხვები, რომელთა წინასწარი გადაწყვეტა და გარკვევა ნათელ სახეს მისცემს რესპუბლიკების დაკავშირების საქმეს.

**საჭიროება საბ. რესპუბლიკების კავშირისა.** ამ კითხვაზედ ძნელი არ არის ამ ჟამად პასუხის გაცემა, მთელმა რიგმა პრაქტიკულ მოვლენებისა, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნების ცხოვრებიდან, ისე საბჭოთა რესპუბლიკების ვითარებიდან, ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ არც ერთს ძალასა თუ სახელმწიფოს დღეს განკერძოებულად, დამოუკიდებლად, უმეგობროდ არსებობა არ შეუძლია. თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში დღეს ადგილი აქვს დიდ სახელმწიფოთა შორეს სხვა და სხვა ფორმის კავშირის შექმნას, რომ შეერთებულის ძალ-ღონით გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზედ და მაქსიმუმს თავიანთი ინტერესებისას მიაღწიონ. ანტანტის კავშირი და ერთა ლიგა, ამ დებულების ნათელ ილიუსტრაციას წარმოადგენს. ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და სხვები ვერ ბედავენ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას და გარკვეული ენერგიით მეგობრების ძებნაში არიან, მაგრამ, როგორც ვიცით, კაპიტალისტური ქვეყნების „მეგობრობას" ძირს უთხრის ის წინაალმდეგობანი, რომელიც ასე ახასიათებს კაპიტალისტურ მეურნეობისა და იმპერიალისტების პოლიტიკას. სრული და მუდმივი მეგობრობის მიღწევა ინტერესთა წინაალმდეგობის გამო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის შეუძლებელია. ეს ურყევი ფაქტია.

მაგრამ, თუ დიდ-ტანიან კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის საჭიროდ ხდება მოკავშირის მოძებნა, ეს ათასჯერ უფრო საჭირო და აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკებისთვის. დღევანდელი ეპოქა არის უაღრესად რევოლიუციონური, რევოლიუციის გამარჯვების ინტერესი კი დაჟინებით გვიკარნახებს მისი შემადგენელი ძალების მობილიზაციასა და ერთი გარკვეული გეგმით მოქმედებას. მდიდარ და ღონიერ იმპერიალისტურ სახელმწიფოების რკალში შემორტყმულ საბჭოთა რესპუბლიკებს არ შეუძლიათ ხანგრძლივი არსებობა, თუ არ იქმნა მათ მიერ მონახული მეგობარი და არ განმტკიცდა ნამდვილი კავშირი რესპუბლიკებს შორის. ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკისა და ფინეთის მაგალითებმა ნათლად დაგვანახვეს, ეს რესპუბლიკები დაეცა შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან. მათ არ აღმოაჩნდათ დამხმარე ძალა, თავიანთი ძალ-ღონით კი ვერ შესძლეს მტრის წინააღმდეგ გამკლავება და მსხვერპლნი შეიქმნენ რეაქციონური მოძალადეების.

ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ პერიოდის ხანაში, რასაც ახასიათებს მოპირდაპირე კლასთა სასტიკი ბრძოლები. ამ ბრძოლაში ის გაიმარჯვებს, რომელიც შესძლებს შექმნას მაგარი და მტკიცე ორგანიზაცია. მთელი რიგი საერთაშორისო და შინაური კითხვებისა, ჩვენი არსებობისა და განვითარების საკითხი, ჩვენ გვიკარნახებს მოვნახოთ მეგობარი, შევკრათ მათთან ძმური დამოკიდებულება და ამ შეერთებულის ძალით გავუმკლავდეთ მტერს. ვერც ერთი საბჭოთა რესპუბლიკა ხანგრძლივად ვერ შესძლებს იარსებოს, თუ მან არ გამოიყენა ეკონომიურად, პოლიტიკურად და სტრატეგიულად, სამხედრო ძლიერების დახმარების მხრითაც თავისივე მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკებიც. ეს გამოყენება და დახმარება კი შესაძლებელი იქნება თავის ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს მაშინ, თუ მოვნახავთ კავშირის ნამდვილ იურიდიულ ფორმას, შევქმნით საკავშირო დამოკიდებულების გარკვეულ სახეს.

ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დღესაც არსებობს პრაქტიკულს ნიადაგზე დამოკიდებულება. მაგრამ ეს იმდენად არეულია და ისეთი ფუნქციათა აღრევასთან გვაქვს საქმე, რომ მისი ამ სახით გაგრძელება შეუძლებელია. დღევანდელი არსებული ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეულს ფორმებში და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ყოველგვარ გაუგებრობას. ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ჩვენ გამოვარკვევთ კავშირის შემადგენელ ელემენტების უფლებებსა და კომპეტენციებს. სანამ ეს უფლებები არ არის გამორკვეული და არ ვიცით თვითეული ელემენტის მოვალეობა, მანამ ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ გაუგებრობასა და არა ნორმალურ პირობებს.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხანგრძლივობა და განმტკიცება სავსებით შესაძლებელი არის, თუ იმპერიალისტურ სახელმწიფოების დამოკიდებულებას ახასიათებს ინტერესთა [illegible] წინააღმდეგობა, რომელიც თითქმის ყოველ მნიშვნელოვან საკითხში იჩენს თავს, რევოლიუციონურ სახელმწიფოთა შორის ასეთი წინააღმდეგობაზედ ლაპარაკი შეუძლებელია... ინტერესთა შეფარდება და ერთი მთლიანი გეგმის გამომუშავება არსად ისე შესაძლებელი არ არის, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. სწორედ გაგებული საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკა ვერასოდეს ვერ იქნება აგებული თავისი მეგობრის დაჩაგვრის ნიადაგზე. ასეთია საკითხის პრინციპიალური სახე.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების საკითხი გამოწვეული არის თვით პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებებიდან და იგი სავსებით შესაძლებელია გატარებული იქნეს.

ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ საქ. საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ს. ხელმწიფო აკადემიური თეატრი—ოპერა

სამშაბათს, 31 ოქტომბერს პეტროგრადის მარინის აკადემიურ თეატრის არტისტ. ა. დოლონაძის მონაწილეობით წარმოდ...

# დემონი

როლებს შეასრულებენ: თამარს—სპრიშევსკაია, სინოდალს—კავსაძე, გუდალს—შარაშიძე. ბილეთები იყიდება. 105 2—2


ნა-მიღების წესის შესახებ, ასეთივე სავალდებულო დადგენილებითაა გამოცემული კოლექტიური ხელშეკრულობის შესახებ, რომელიც გულისხმობს სწორედ მუშა მოსამსახურეთა ვალდებულებასთან ერთად მათ უფლებებსაც.

ეს უკანასკნელი მრავალ სახელმწიფოსა და ყველა კერძო წარმოება-დაწესებულებაში არის გატარებული. ცხადია, მან შესაფერი ნაყოფიც გამოიღო, როგორც უფლებრივად, ისე მატერიალურადაც მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მაგრამ სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით არ არის კოლექტიური ხელშეკრულება გატარებული მთელ რიგ სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეებთან. აქ კი სავალდებულო დადგენილებათა აშკარა დარღვევასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო გვერდს უვლის მის მიერ გამოცემულ კანონებს, რაც ყოვლად დაუშვებელია საზოგადოდ და კერძოთ ჩვენში, მუშათა სახელმწიფოში, სადაც კანონის გვერდის ავლა საზიანოთ იქნება უსათუოდ მიმართული მუშათა კლასისადმი. ვინ უნდა მიაქციოს ამ მოვლენას ყურადღება, ვინ უნდა დაიცვას მუშა-მოსამსახურეთა ინტერესები ამ შემთხვევაში? პასუხი ერთია როგორც პროფესიონალ კავშირებმა ისე შრომის სახალხო კომისარიატმაც.

თეორიულად ეს მართლაც ასეა, მაგრამ სინამდვილეში კი სხვაგვარად ხდება. შრომის სახალხო კომისარიატს თუ მის განყოფილებას საქართველოში, ჩვენ კიდევ არ მოვთხოვდით, რომ ყურადღება მიექცია განათლების მუშაკთათვის, რადგან კარგა ხანია ეს ხალხი მივიწყებულია და მისთვის არავინ ზრუნავს,—მაგრამ იგივე კომისარიატი და მისი განყოფილება საქართველოში თვის კერძო მოსამსახურეების ინტერესებს მაინც უნდა იცავდეს! უამისოდ, ცხადია, ის ვერც სხვის ინტერესებს დაიცავს, თუ თავის სახლში საქმე ვერ მოუგვარებია, სხვისს საქმეს სულ ვერ მოაგვარებს. აბა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებს დღემდი არ აქვს კოლექტიური ხელშეკრულება. კომისარიატის მოსამსახურეები ღებულობენ თვიურად 700.000 მანეთიდან 2,000,000 მანეთამდი. რასაკვირველია მათ გვერდით 21 „ოტვეტსტვენი" თვიურად იღებს 6—12 მილიონამდი ამ უკანასკნელთა საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ რა დაუშავა ტეხნიკურ მომუშავეებმა? ნუ თუ კომისარიატმა ამას არ უნდა მიაქციოს ყურადღება? ან სად არის პროფკავშირი?

ამას წინად ატოევი ძალიან ამაღლდა სახსასკომის მაღაზია № 1 ნოქრისთვის 8 მილიონის დანიშვნა თვეში 12 მილიონის ნაცვლად. აქ თუ ამხ. ატოევი ხედავს კანონის დარღვევას სახალხო კომისარის მხრით (საქმე შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულების გაუქმებას), რატომ ხმას არ ამოიღებს იმ ხალხის სასარგებლოდ, რომელთაც შეურაცყოფილი ნოქრის მდგომარეობა იდეალურად მიაჩნია და რომელიც თვიურად კი არა თითქმის წლიურადაც ვერ აკეთებს 8—12 მილიონს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამგვარ „წვრილ" მოვლენებსაც და ნუ შევქმნით ნამდვილ შვილებსა და გერებს სახელმწიფოსთვის.

მ. ...

## ეკონომიური ცხოვრება

### კომუნალურ აბანოების შესახებ

ქალაქის აღმასკომის ერთ-ერთ მთავარ საწარმოთა დარგს შეადგენენ გოგირდის აბანოები, რომელნიც ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებშია მოთავსებული.

ჩვენი სამკურნალო თვისების გოგირდის აბანოები ცნობილია არა თუ ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის, არამედ საზღვარ-გარეთელებისათვისაც, რომელნიც ძველ დროში ხშირად ჩამოდიოდნენ აქეთ სამკურნალოდ. მაშინ აბანოები შენდებოდა მეპატრონეთ მიერ მხოლოდ კერძო სარგებლობის მიზნით, რისთვისაც მკურნალობა ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით არ სწედავდა და ყოველთვის უკანა რიგში იყო მოქცეული. გარდა ამისა—გადადიოდა რა ერთი ხელიდან მეორეში, მეპატრონესაგან—არენდატორის ხელებში, აბანოებზე ხდებოდა პირდაპირ მტაცებლობითი ექსპლოატაცია და რემონტის ფიქრი არავის არ ქონდა. არის აბანოები, რომელნიც, ძველი მოიჯარადრის გადმოცემით, 50—60 წელი არ შეკეთებულა.

ასეთს პირობებში გადავიდა აბანოები ქალაქის აღმასკომის ხელში და მასაც მეტი მეცადინეობა დასჭირდა იმისათვის, რომ აბანოების საქმე ნორმალურ სასურველ კალაპოტში ჩაეყენებინა.

დღეს დღეობით ყველა აბანოები (გარდა ათიოდე იმათგანისა, რომელნიც არენდითაა გაცემული კერძო პირებზე) იმყოფებიან იმავ პირველ ყოფილ მდგომარეობაში და საჭიროებენ მიუცილებელ შეკეთებას.

მაისს, ივნისს, ივლისს, აგვისტოს და სექტემბრის თვის განმავლობაში მოხერხდა კაპიტალური მუშაობის დამთავრება, ყველა საუკეთესო სამკურნალოთ მიჩნეული, პირველ ხარისხოვან აბანოთა შეკეთებით, რასაც მრავალგვარი დაბრკოლებანი გადაულახა წინ და ხარჯებიც საკუთარი ფონდის წყაროებიდან ეძლეოდა ამ საქმეს.

საზოგადოდ ამ ხუთი თვის განმავლობაში, ამ თორმეტიოდე, სხვა და სხვა მოიჯარადრეებზე გადაცემულ აბანოებიდან შემოვიდა სულ: 4,535,629,000 მან. ხოლო გასავალი სულ იყო: 4,055,918 ათასი მან. და ამოიღეს ნახევარზე მეტი წელში სარემონტო უპირავი ხარჯებისა კიდევ არჩება რამდენიმე ათეული მილ. წმინდა შემოსავლისა.

ამ ჟამად აღმასკომმა დაასრულა კაპიტალური შეკეთება № 3 და 4 აბანოებისა და შეუდგა სხვა დანარჩენ აბანოთა სასწრაფო შეკეთებას, რაზედაც ვიმედოვნებთ, რომ ასეთი ტემპით მუშაობის გაგრძელება უსათუოდ რამდენიმე ათეული წლებით უზრუნველყოფს ჩვენი აბანოების საქმეს.

## მოწერილი ამბები

### ხმა პროვინციიდან

I

პარტიული ორგანიზაციების გაძლიერება-გაფართოებას, მასაში მუშაობის გაღრმავება-განმტკიცებას აუცილებლად სჭირია პარტიული ლიტერატურის გავრცელება, მკითხველი საზოგადოების დაინტერესება ახალი ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხების ახსნა-განმარტებით იმ ენაზედ, რომელზედაც მკითხველი მასა ლაპარაკობს, მსჯელობს და აზროვნებს. ვერავითარ ზეპირ აგიტაციას მასაში ვერ შეაქვს იმდენი სარგებლობა, რაც შეუძლია ცოცხალ სიტყვით შექმნას და ჩამოაყალიბოს ლიტერატურის გავრცელებამ.

II

მთავარი ჩვენი ყურადღება უნდა იქნას მიქცეული, ფხიზელი დაკვირვებით, სრული ანგარიშის გაწევით იმ გარემოებაზედ, რომ მუშათა და გლეხთა მდგომარეობა არ ჩავაყენოთ არასასურველ მდგომარეობაში.

საჭიროა საქართველოში არ არსებობს მთლიანი ერთიული მართველობა. განკარგულება ცენტრის ფაქტიურად სავალდებულოთ არ არის დაკანონებული პროვინციული ამხანაგებისათვის, განკარგულებები ცენტრის არ ტარდება ცხოვრებაში იმ ფორმით და თეზისით პროვინციებში. პროვინციული ამხანაგები ან თავს მოაბეზრებენ, ან ბოლოს და თავისუფლად აწარმოებენ მასაში. ეს იწვევს დიდ გაუგებრობას, რასაც დისონანსი შეაქვს მთლიანობაში. იკარგება ცენტრის ნდობა და პატივისცემა. პროვინციები მოკლებულნი არიან მოწესრიგებულ ფეხზედ აღმართულ ორგანოებს. აქ თვით ჰქმნიან თავიანთ კანონებს—დეკრეტებს და განკარგულებებს. დროზედ უნდა ამას ალაგმვა—მოკვეთა, თორემ ასეთი გაუცხოება კიდეზედ გადაგვჩეხს.

ან. კაცაშვილი.

### სოფელს მიხედოთ

მთელს საქართველოში იშვიათია ისეთი სოფელი, რომელსაც არ ახასიათებდეს რევოლიუციის უანგარო სიყვარული და მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავის გაწირვა.

სოფელი მუდამ დაინტერესებული იყო და არის რევოლიუციის ბედით, სოფელი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა და ეპყრობა შექმნილ მთავრობას!

გადავხედოთ თუ რა მდგომარეობაშია და როგორ ვითარებას განიცდიან ჩვენ მივიწყებული ჩვენი სოფელი!

საქართველოში წელს კარგი მოსავალია და ეს დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი სოფლების ეკონომიურად აღორძინებას! განსაკუთრებით გურიის სოფლები თუ გასულ წელს რა საშინელი სიმშილი გადაიტანა მან, რასაც უმიზეზოდ არავინ ფიქრობდა! შარშან გურიაში ძალიან მცირე მოსავალი იყო სიმინდი, გვალვებისა და შემდეგ დაუსრულებელი წვიმების გამო, რამაც დიდ განსაცდელში ჩააყენა გურიის რევოლიუციონური გლეხობა, და რამაც დასცა გურიის სოფლები კულტურულად და ეკონომიურად!

ჩვენ გვეგონა რომ გურია წელსაც სიმშილის წინაშე წარსდგებოდა წყალდიდობის გამო, მაგრამ გურიაში წელს საკმაო მოსავალია, რაიცა სიხარულით უტოკავს გურულ გლეხს გულს.

ეკონომიურად აღორძინებასთან ერთად საჭიროა კულტურული გამოფხიზლება; საჭიროა სოფლებშიაც არსებობდეს თეატრი, სამკითხველო, სასწავლებელი, კოოპერატივი და სხვა კულტურული დაწესებულებანი, რომელნიც სინათლის სხივებს გააქანებს სიბნელეში გახვეულ სოფელს! სოფელი კი დღეს დიდად ჩამორჩენილია კულტურულად, და ეს დიდ ნაკლულოვანებას მისცემს საბჭოთა საქართველოს, თუ არ შევეცდებით სოფლის ამ მდგომარეობიდან დახსნას!

სამკითხველოები სოფლად არსებობდეს მდგარი თავის დონეზედ და არც ახლა სჭირდება; თეატრი, სასწავლებელი და კოოპერატივი იგივე ეკლიან გზაზე განაგრძობენ ნელ სვლას!

საეროთოდ უნდა ითქვას, რომ თვითეული სოფელი ჩამორჩენილია კულტურულად; ეკონომიურად აღორძინების ნიშნები უკვე სჩანს.!

ჩვენი ვალია: მივხედოთ დავიწყებულ სოფელს და ხელი შევუწყოთ მის კულტურულად აღორძინებას.

დ. ივანიშვილი.

— —

**ხმა მესხეთიდან.** არა მგონია ჩვენს რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, ასე თავისუფლად მოქმედობდნენ, ასე ალვირ ახსნილი იყვნენ როგორც მესხეთის დედა-ქალაქ—ახალციხეში—მეეტლეები.

ქალ. ახალციხეში არსებობს მეეტლეების ე. წ. „კავშირი მეეტლეთა".

როცა რომელიმე მგზავრი მიემგზავრება ბორჯომქალაქისაკენ, მან უნდა აიღოს ბილეთი ეტლში ადგილის დასაჭერად. (მიმოსვლა ახალციხიდან—ბორჯომამდე სწარმოებს ეტლით ან ავტომობილით, ახალციხიდან ბორჯომამდე 47 ვერსია).

მეეტლეთა კავშირი არ სდგას თავის სიმაღლეზე. მას მრავალი დეფექტები აქვს. მაგ. წინა დღით, ან წასვლის დროს მეეტლეთა კავშირში იყიდით ბილეთს და არხეინად გრძნობ თავს, რომ დანიშნულ დროზე თუ არა ერთი—ორი საათის დაგვიანებით მაინც გაემგზავრებით ახალციხიდან, მაგრამ საწუხაროდ აწყდებით არა სასურველ დაბრკოლებას. კავშირში მიდის სხვა მგზავრი, რომელიც უფრო მეტს აძლევს ფასს, ვიდრე მეეტლეთა კავშირის მიერ არის „დაწესებული ნიხრი" და მეეტლეთა კავშირის გამგეც უკვე გაყიდულ ადგილს—ჰყიდის ახალ სხვა მგზავრზე და ამ ნიადაგზე ხდება ხოლმე აყალ-მაყალი და შეხლა-შემოხლა მგზავრთა შორის, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან არა მე მაქვს ნაქირავებული ეს და ეს ადგილი და არა მეო.

თუ ახალციხეში არსებობს მეეტლეთა კავშირის მიერ ჰაერში დაწერილი ნიხრი, ბორჯომში ხომ მეეტლებისათვის არავითარი ნიხრი არ არსებობს.

ბორჯომის სადგურს მოადგება თუ არა მატარებელი დაერევიან მგზავრთა შორის და ურიგდებიან მათ ახალციხეში წასაყვანად.

მეეტლები ისე მაღა გაღვიძებულნი არიან, რომ რამდენსაც მოისურვებენ იმდენს მოსთხოვენ ეტლში დასაჯდომ ადგილის საფასურში და შენი მტერი თუ მგზავრი ახალციხელი არ არის და შორს ქვეყნიდან მომავალია, მას ხომ პირდაპირ ტყავს აძრობენ მეეტლები. რა ქნას საბრალო მგზავრმა—ქალ. ბორჯომში დარჩეს, ხომ სულ ერთია ბორჯომის სასტუმროს პატრონი ტყავს გააძრობს.

მგზავრი იძულებული ხდება დაეთანხმოს მეეტლის გაღვიძებულ მადას..

ამ ორი კვირის წინად ბორჯომიდან-ახალციხემდე მეეტლები ახდევინებდნენ 250,000—300.000 მ. დღეს კი 400,000—500,000 მ.

მეორე წელია, რაც საბჭოთა ძალა-უფლება არსებობს ახალციხეში და ამ ხნის განმავლობაში არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ახალციხის აღმასრულებელ კომიტეტს ამ ფრიად სერიოზულ საკითხისათვის.

დროა, ახალციხის აღმასკომმა მიაქციოს ყურადღება მეეტლების თავისუფალ თარეშს, მათ ალვირახსნილობას და ლაგამი ამოსდოს მათ. გამოსცეს უნდა აღმასკომმა სათანადო ნიხრი (ტაქსა) ბორჯომ-ახალციხე, აბასთუმან-ახალქალაქის და უკან მიმოსვლის შესახებ ეტლით—და ეს ნიხრი სასტიკად დაცულ უნდა იქმნეს მეეტლების მიერ მათი კავშირის ზედამხედველობის ქვეშ. ერთი ცალი ნიხრი უნდა იყოს ჩამოკიდებული მეეტლეთა კავშირში..

ტანჯული მესხი.

## თეატრი და ხელოვნება

**პიანისტ ბარერის კონცერტი.**

მეხუთე clavier abenb-ით დასრულდა ბარერის კონცერტთა ციკლი. არტისტის მიერ შოპენის ნაწარმოების ასრულების შესახებ მე უკვე გამოვსთქვი ჩემი აზრი. ორ უკანასკნელ clavier abend ზე მან შეასრულა კლასიკთა (ბახი, ლიული) და თანამედროვე კომპოზიტორთა (სერიაბინი, რახმანინოვი, არენსკი, მოშკოვსკი) ნაწარმოებნი. სამწუხაროდ პიანისტმა ნაკლები ყურადღება მიაქცია შუმანის შემოქმედებას,—გერმანეთის ამ უდიდეს კომპოზიტორს, თავისი განსაკუთრებული სტილი რომ შექმნა.

ბარერის კონცერტები აუცილებლად საინტერესო მომენტად ჩაითვლება ტფილისის სამუსიკო ცხოვრებაში. შეიძლება არ დაეთანხმო ამა თუ იმ ნაწარმოების ინდივიდუალურ გაგებას, (მაგ. ფანტაზია შოპენის, მისი 1-ლი ბალადა Gmoll, შუმანის კარნავალი), მაგრამ არ შეიძლება უარყო მისი ნიჭი. მაგ. ბარერის მიერ შესრულებული შოპენის ეტიუდები, ლისტის ნაწარმოებნი, თანამედროვე კომპოზიტორების შესრულება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. შუმანის ნაწარმოებიდან პიანისტი ჩინებულად ასრულებს ძნელ ტოკკატოს, კვინტეტში, მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო მის შესრულებას Funerallis ლისტის, აქ სასურველია მეტი ემოციონალობა და მისტიციზმი, სამაგიეროთ შესრულებული ლისტის ეტიუდები—სრულიად დასრულებულია tempo სიმჩატისა და perle ს მიხედვით. ბახის რომანტიული ფანტაზია, ჩემის ფიქრით, არ არის საკმაოდ სტილის დაცვით შესრულებული, ხორალში კი—პირიქით, სტილი კლასიკურად არის შენახული.

პ. ბებუთოვი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი


**დაიკარგა** პირადობის მოწმობა ბახვის აღმასკომიდან № 701. ექვთიმე გიორგის ძე ინწკირველი. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 337.



პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„ორიანტი"
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.
საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი
ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო
მზარეულთა ზედამხედველობით.
საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე.
10—4 ფასები დაკლებულია.